დანართი 1

დამტკიცებულია: ბრ. 07/01-26, 24/06/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის დებულება

თბილისი

2024

სარჩევი

მუხლი 1. ..... ზოგადი დებულება 3

მუხლი 2. ..... აკადემიური დატვირთვა 3

მუხლი 3. ..... სასწავლო კომპონენტის საათობრივი ანაზღაურების გაანგარიშების წესი 4

მუხლი 4. ..... პრაქტიკის კომპონენტის/საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პირობები და ანაზღაურების გაანგარიშების წესი 4

მუხლი 5. ... კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელობის პირობები და ანაზღაურების გაანგარიშების წესი 4

მუხლი 6. ..... სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის, დისერტაციის ექსპერტის, დისერტაციის ოპონენტის, დაცვის კომისიის წევრის, აკადემიური კონკურსის საკონკურსო კომისიის წევრის ანაზღაურების განსაზღვრის წესი 5

მუხლი 7. ..აკადემიური პერსონალის საქმიანობის ანაზღაურების წესი 5

მუხლი 8. ..... დატვირთვის განსაზღვრის თავისებურებები 5

მუხლი 9. ..... დასკვნითი დებულებები 5

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის აკადემიური დატვირთვის ოდენობას, აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების წესსა და კრიტერიუმებს.

მუხლი 2. აკადემიური დატვირთვა

2.1. უნივერსიტეტის ლექტორის (აკადემიური პერსონალი, მოწვეული ლექტორი) აკადემიური დატვირთვა მოიცავს სასწავლო საქმიანობას, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, კონსულტაციებს და პროგრამის განვითარების პროცესებში და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას.

2.2. პერსონალის აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების მიზნებისათვის, მხედველობაში ასევე მიიღება სალექციო მასალების მომზადებისა და შეფასებისათვის საჭირო დრო. პერსონალის სასწავლო საქმიანობის დატვირთვის აღრიცხვა ხდება ყოველი სემესტრის დასაწყისში ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2.3. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის ჯეროვანი წარმართვისა და სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად, ლექტორის მაქსიმალური კვირეული სალექციო დატვირთვა შეიძლება შეადგენდეს არაუმეტეს 27 საათს, ლექტორის საკონსულტაციო საათები ყოველკვირეულად მოიცავს სულ მცირე 1 საათს.

2.4. სადოქტორო და სამაგისტრო საფეხურებზე ხელმძღვანელის სემესტრული დატვირთვა შეადგენს კვირაში არანაკლებ 2 საათს.

2.5. საგანმანათლებლო პროგრამის/სტუდენტების საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამონაკლის შემთხვევაში ლექტორის მიერ მოხდეს წინამდებარე დებულების მე-2 მუხლის 2.3. პუნქტით დადგენილი 27 საათიანი ზღვრული სალექციო დატვირთვის გადაჭარბება რექტორის თანხმობით, შესაბამისი სკოლის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

2.6. წინამდებარე მუხლის 2.3. პუნქტში განსაზღვრული ლექტორის მაქსიმალური კვირეული სალექციო დატვირთვა მოიცავს აკადემიური პერსონალის დატვირთვას ყველა სხვა უმაღლესს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2.7. ლექტორი განცხადებას წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურში. უნივერსიტეტში დატვირთვის გაანგარიშების შემდგომ, ლექტორმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისი დატვირთვა სხვა უნივერსიტეტებში არ

იყოს ხელისშემშლელი უნივერსიტეტში მისი აკადემიური საქმიანობის და უზრუნველყოფდეს დატვირთვის შემადგენელი კომპონენტების მაქსიმალურად ხარისხიან შესრულებას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სწავლება - სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

2.8. ლექტორის მიერ, წინამდებარე მუხლის 2.3. პუნქტში განსაზღვრული კვირეული 27 საათის გადაჭარბება თუ გამოწვეული სხვა უმაღლეს საგანმანათლებელო დაწესებულებებში არსებული დარტვირთვით ისე, რომ აღნიშნული ცნობილი არ იყო უნივერსიტეტისათვის, ეს ჩაითვლება უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების დარღვევად. აფილირებული აკადემიური პერსონალის სავალდებულო სამეცნიერო დატვირთვა დამატებით მოწმდება ,,ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით" - დადგენილი წესით, ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

მუხლი 3. სასწავლო კომპონენტის საათობრივი ანაზღაურების გაანგარიშების წესი

3.1. პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის ანაზღაურება განისაზღვრება რექტორის ბრძანების საფუძველზე და შრომითი ხელშეკრულებით.

3.2 დამატებითი და აღდგენითი გამოცდები, აგრეთვე საკონსულტაციო საათები ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

მუხლი 4. პრაქტიკის კომპონენტის/საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პირობები და ანაზღაურების გაანგარიშების წესი

4.1 პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან/და მოწვეული ლექტორი.

4.2 პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელს შესაძლებელია ჰყავდეს მაქსიმუმ 30 სტუდენტი.

4.3 პრაქტიკის კომპონენტის ხელმძღვანელობისათვის ანაზღაურება განისაზღვრება რექტორის ბრძანების საფუძველზე და შრომითი ხელშეკრულებით.

4.4 უნივერსიტეტის ლექტორი შესაძლებელია იყოს არაუმეტეს 10 (ათი) საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი. ანაზღაურება განისაზღვრება რექტორის ბრძანების საფუძველზე და შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 5. კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელობის პირობები და ანაზღაურების გაანგარიშების წესი

5.1. უნივერსიტეტის ლექტორი ერთდროულად შესაძლებელია იყოს მაქსიმუმ 5 კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელი. კვლევითი კომპონენტების ჯამური რაოდენობის გაანგარიშების მიზნებისათვის,

სადოქტორო საფეხურზე კვლევითი კომპონენტების მაქსიმალური რაოდენობა არის 3.

5.2. კვლევითი კომპონენტის ხელმძღვანელობისათვის/ თანახელმძღვანელობისათვის ანაზღაურება განისაზღვრება რექტორის ბრძანების საფუძველზე და შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის, დისერტაციის ექსპერტის, დისერტაციის ოპონენტის, დაცვის კომისიის წევრის, აკადემიური კონკურსის საკონკურსო კომისიის წევრის ანაზღაურების განსაზღვრის წესი

6.1. უნივერსიტეტის სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი/დისერტაცია) რეცენზენტის, ექსპერტის, ოპონენტის, დაცვის კომისიის წევრის ანაზღაურება განისაზღვრება რექტორის ბრძანების საფუძველზე და შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 7. აკადემიური პერსონალის საქმიანობის ანაზღაურების წესი

7.1. აკადემიურ პერსონალის დატვირთვა საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის, დისერტაციის ხელმძღვანელობისათვის, პრაქტიკის ხელმძღვანელობისათვის, საკონსულტაციო საათები განისაზღვრება წინამდებარე მუხლის 2.3 პუნქტით განსაზღვრული დატვირთვისაგან დამოუკიდებლად.

7.2. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ანაზღაურების საკითხები განისაზღვრება ,,აკადემიური საქმიანობის წახალისების დებულების“ შესაბამისად.

7.3. იმ აკადემიური პერსონალის კვირეული სალექციო დატვირთვა, რომელსაც ამავდროულად უნივერსიტეტში უჭირავს ადმინისტრაციული თანამდებობა, განისაზღვრება წინამდებარე დებულების მე-8 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 8. დატვირთვის განსაზღვრის თავისებურებები

8.1. უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელსაც უკავია ადმინისტრაციული თანამდებობა შავი ზღვის საერთაშორისო უნიევრისტეტში, უფლებამოსილია სამუშაო საათების განმავლობაში ჩაატაროს კვირაში არაუმეტეს 4 სალექციო საათი.

8.2. წინამდებარე მუხლის 8.1 პუნქტით განსაზღვრული წესისგან გამონაკლისი დგინდება რექტორთან შეთანხმებით, დასაქმებული პირის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის რექტორის ბრძანებით, მისი დამტკიცებისთანავე.

9.2. საკითხები, რომელიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სხვა დებულებების შესაბამისად.

9.3. წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამსახურისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.